



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

29 აგვისტო 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 129

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ა“, „პ.ბ“ ქვეპუნქტების და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კომუნალური მომსახურების ცენტრს“ გადაეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური მარაგები (თანახმად დანართისა) საბალანსო ღირებულებით სულ 4899.90 (ოთხიათასრვაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ იურიდიული პირის არსებობის ვადით.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურებს მოახდინონ აღნიშნული ქონების მიმართ შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

დანართი

№	ქონების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
1	დროსელი 150კტ.	ცალი	65	35	2275
2	იგნიტორი 70-400 კტ.	ცალი	45	15	675
3	ჩამჭერი №4.	ცალი	10	4	40
3	ჩამჭერი №5	ცალი	10	6	60
4	ლამპიონი 150 კტ.	ცალი	10	118	1180
5	სოდიუმის ნათურა 150 კტ.	ცალი	20	19	380
6	40-26 ავტომატი ამომრთველი 2/100	ცალი	1	35	35
7	გასანათებელი მოწყობილობა 160კტ	ცალი	1	35	35
8	აპკვ. 2-2,5	მეტრი	10	0.50	5.0
9	აპკვ.2-10	მეტრი	40	1.20	48
10	როზეტი MIS	ცალი	1	2.50	2.50
11	აპკ.10	მეტრი	142	0.70	99.40
12	ტტკ. 2-2,5	მეტრი	50	1.30	65
	სულ				4899.90